№ 218
შაბათი, 7 ოქტომბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 6 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 7 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 218
შაბათი, 7 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაგარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

**ელისაბედ გრიგოლის ასული სულხანოვისა**, აუწყებს-რა ნათესავთა და ნაცნობთ თვისის მეუღლის

## ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვის

გარდაცვალებასა, სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად კვირას, 8 ოქტომბერს. მიცვალებულს საკუთარის სახლიდგან (ავჭალის ქუჩა, 40) ავლაბრის კარნი-ავეტრანის ეკკლესიაში გაასვენებენ დილით. (3—200—3)

**კნ. ანასტასია ილიას ასული და თ. ალექსანდრე ივანეს ძე ლეონიძე** გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა საყვარლის ასულის

## ანასტასიას

დაკრძალვა მიცვალებულისა კაცხის მონასტრის საგვარეულო აკლდამაში დანიშნულია კვირას, 8-ს ოქტომბერს.

(2—201—1)

**ქვრივი ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვისა ელისაბედ გრიგოლის ასული სულხანოვისა** ამით აცხადებს, რომ ვისაც კი დღემდის მისის ქმრის, ავეტიქ სულხანის ძის, **რწმუნების ქაღალდები** (довѣренность) ჰქონდათ, ამიერიდგან გაუქმებულია. (4—200—3)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები**, თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები**. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—6.—32) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ.

სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ნაფიცი ვექილი

თავ. მიხეილ ნიკოლოზის ძე

## ვეზიროვი

გადავიდა სემიონოვის ქუჩაზედ (კუკიაში), სახლი № 7. (2—198—2)

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 17 ოქტომბრისათვის გამგეობის სადგომში დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

განუმეორებლად, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქუთაისის ხიდების გადასახადის მოკრება ორის წლის ვადით 1901 წლის 1 იანვრიდგან.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს 200 მან. ნაღდი ფული ან ბანკის ბილეთები და ან სარგებლიანი ქაღალდები. ეს ფული დარჩება ქალაქის სასარგებლოდ, თუ ვინიცობაა მოიჯარადრე არ შეჰკრავს პირობას, ანუ და არ წარმოადგენს ბეს ერთი თვის იჯარით შემოსატანს ფულს.

ვაჭრობა იქმნება როგორც სიტყვიერი, აგრეთვე დაბეჭდილ განცხადებებით; ვაჭრობა დაიწყება 12 საათიდგან და გაგრძელდება ორ საათამდის. პირობების განხილვა შეიძლება გამგეობაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდე ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა.

(3—6.—2)

## ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობის დარბაზში დღეს, 7 ოქტომბერს, მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საბჭოს ტეხნიკოს ხმოსანთა ინჟინერთ ს. ა. მუხარინსკისა და ი. ა. რაგოლერის თანადასწრებით, რომელზედაც უნდა განიხილონ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ-ნ რობის მიერ ქ. კიელ-

## ფელეტონი

### რაზედ ვხარჯავთ ძალას?

(ჩვენის ცხოვრების ზოგიერთი სურათი)

ვინც ჩვენს ცხოვრებას ცოტაოდნად მაინც ჩაჰკვირვებია, ვისაც ცოტაოდნად მაინც უდევნებია მისთვის თვალ-ყური, მეტადრე იმ დროს, როდესაც რაიმე საზოგადო საქმისათვის შევკრებილვართ, ის უეჭველად დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ დიდის ძალისა და ენერგიის პატრონი ვართ, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ძალა უკუღმართად გვეხარჯება. უთავბოლოდ იხარჯება ჩვენი ძალა ყავახანებში, იხარჯება ბულვარებზედ და სხვა-და-სხვა საზოგადო კრებებში. აკვირდებით ჩვენს სულიერ და ფსიხიურ ცხოვრებას და თან რწმუნდებით, რომ ღმერთს ჩვენთვის ყოველი თვისება საკმარისად ურგუნებია: კარგიცა და ცუდიც, შეგნებულებაც, გრძნობიერებაც, გამჭრიახობაც-კი, მაგრამ ამ მაღალ ხარისხოვან თვისებებთან ჩვენში მოთავსებულან დაბალის ხარისხის თვისებანი, როგორც, მაგალითებრ, შური, მტკივნეული თავ-მოყვარეობა და პირადის ინტერესების მეტი სიყვარული. ერთის სიტყვით, ყოველ გვარი გრძნობა ჩვენში მეტად განვითარებულა, მაგრამ რადგან არც წარსულში და არც ეხლა დისციპლინა არა გვქონია, ვერ მომხდარა ამ საკმარისად განვითარებულ ცალკე გრძნობათა შეთანხმება შედუღება, მათი დამორჩილება ნების წინაშე, რომელიც, მტკიცე მსჯელობასთან შეთანხმებული, ერთად-ერთი თვალსაჩინო ღირსებაა კერძო ადამიანის და მთელის ერისა. კიდეც ამის გამო ჩვენის საზოგადოების ცხოვრება ძლიერ ჰგავს აღელვებულს პატარა ზღვას, რომელიც ყველასათვის და თავისთვისაც უმნიშვნელოდ ჰღელავს და ჰშფოთავს. ჩვენში აუარებელი ძალა იხარჯება უთავბოლოდ და უკუღმართად, იხარჯება იმისთანა მოქმედებისთვის, რომელიც მომავლის ძირის გამომთხრელია, და ეს ხდება მაშინ, როდესაც რიგიანად მიმართული ძალა ჩვენთვის ძლიერ საჭიროა. ამ უკუღმართად ძალის ხარჯვაში ის არის სამწუხარო და სავალალო, რომ ეს ძალა ეკუთვნის ჩვენს ახალგაზდობას. უკუღმართი ძალის მომხმარე ახალგაზდობა ორ ჯგუფს წარმოადგენს, რომელთა მოქმედება თუმცა მსგავსი არ არის გარეგნობით, მაგრამ თვისის ცუდის შედეგით-კი ერთმანეთს ემსგავსება. ერთი ჯგუფი ამ ახალგაზდობისა არის ეგრედ წოდებული მაღალის წოდების წარმომადგენელი *), უსწავლელად დარჩენილი თუ უნიჭობისა და თუ მშობლების უდარდელობის წყალობით. დღეს ესენი ჩოხით შემოსილნი, იარაღში ჩამჯდარნი, ხშირად შეურაცხჰყოფენ თავისს ადამიანობასა და წოდებას, ბულვრების, ქუჩების და ყავახანების გმირებს შეადგენენ, ხშირად ჩაიდენენ ხოლმე რომელსამე უკუღმართს საქციელსა და დანაშაულობას, რაც იწვევს აუარებელს ხარჯს მათის ნათესავებისას, მათის საკუთარისა და სხვისის მიწა-წყლის გაყიდვას, რათა თავი იხსნან სასჯელისაგან. ამ უთავბოლო ხარჯმა ჭკუა ვერ ასწავლა, არც კანონიერმა სასჯელმა გამოაღვიძა ზოგი მათგანი. ვინ იცის, რამდენი პატიოსნება იმსხვერპლა ამ ახალგაზდობამ, რამდენი საშვილიშვილო მამული სამუდამოდ გამოგვასალმა!

*) რასაკვირველია, ჩვენ აქ უმრავლესობაზედ გვაქვს ბაასი და არა ყველაზედ.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ის ჩვენი გრძელ კალთიან სერთუკიანი ვაჟბატონები, რომლებსაც ხშირად უნიჭობისა გამო, საშუალო სასწავლებლებიც ვერ დაუმთავრებიათ და რადგან თავმოყვარეობა-კი გადამეტებული ჰქონიათ, სცდილან სწავლაში ნაკლულევანების შევსებას, რუსეთი და ევროპაც-კი მოუვლიათ, მაგრამ საუბედუროდ სულ უფრო დაბნეულან, რადგან ვერ მიუღიათ ის სისტემატიური სწავლა, რომელიც გონებრივად მხოლოდ ერთად ერთი გამმაგრებელი საშუალებაა საშუალო ნიჭის ადამიანისა; სწავლასაც უნდა ჯერ ნიადაგი—ნიჭიერი ბუნება და მერმე სისტემატიურად შეთვისება-შესწავლა საგნებისა. ყველა ბოკლი-კი არ არის, რომ ნიჭით ადვილად შეიძინოს უსკოლოდ ნამდვილი სწავლა-განათლება. ეს ძნელია მეტადრე ჩვენში, სადაც არ არის ნამდვილი ოჯახი, ადამიანის გონებრივად ამზრდელი, არც სხვა რაიმე საზოგადო ამზრდელი დაწესებულება გვაქვს, რომ შესაძლო იყოს ოჯახის და სკოლის ნაკლულევანების შევსება. ჩვენი გაევროპიელებული ვაჟბატონები ძლიერ ყოყოჩობენ, ვითომ გონებრივის ძლევა-მოსილებით თავს გვაწონებენ, მტკივნეულს თავ-მოყვარეობას იჩენენ ყოველგან, პრესსაში, თუ ცოტაოდენი წერის ნიჭი მოეპოვებათ და მეტადრე საზოგადო საქმეში, სადაც დიდად საჭიროა სრულის და სპეტაკის ხასიათის ადამიანი, მხოლოდ საზოგადო საქმის სიყვარულით აღჭურვილი. ეს ვაჟბატონები უანგარიშოდ ანგრევენ ყოველსავე, რაც ჩვენთვის სასახელოა და ჩვენის მომავლის სულის ჩამდგმელი. ანგრევენ ყოველსავე როგორც ნამდვილი თანამედროვე ჰეროსტრატეები და სამაგიეროს-კი არას გვიკეთებენ და არას გვპირდებიან. მათი სამარცხვინო დევიზი „რყევა-ნგრევაა“, თითქოს ქარიშხალს წარმოადგენდნენ, ან ბუნების სხვა რაიმე სტიქიურს ძალას. მათი მცნება ისე ბუნდოვანი და გამოურკვეველია, როგორც თვით მათი მიზანი. ამისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდგან გამოგზავნილი ქალაქის ელექტრონის რკინის გზის პროექტი.

*** ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელმაც მოასწრო ორი საქმის განხილვა. კომისიამ, ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ, დაადგინა, უარი გამოეცხადოს ტფილისის ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებას, რომელიც ავლაბრის ქალაქის სასწავლებელში სადილს შემდეგ ბავშვთათვის უფასო სკოლის გამართვა არის განზრახული.

*** გუშინ, 6 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტრის თანადასწრებით ტეხნიკების განსაკუთრებულმა კომისიამ ხელმეორედ დაათვალიერა ტფილისის თავად-აზნაურთა თეატრის შენობა, რომელიც ახლად შეკეთებულ იქმნა. კომისიამ თეატრი რიგზედ შეკეთებულად იცნო. ხელმეორედ დათვალიერების შემდეგ ნება დაერთო თეატრის მოიჯარადრეს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, წარმოდგენების მართვა დაიწყოს.

*** ბერლინში ამ ჟამად ბუნების-მეტყველთა და ნატურალისტთა ახალი საზოგადოება დაარსებულა, რომლის წევრებიც ამ წელს სამეცნიერო აზრით მოგზაურობას აპირებენ ყირიმსა და კავკასიაშიო. აღნიშნულმა საზოგადოებამ ამ აზრით რუსეთის ბუნების-მეტყველნიც მიიწვია სამოგზაუროდ, სწერს გაზ. „Русск. Вѣд.“-ი.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა დაადგინა, რომ ქალაქის საყაბოში მუშები და მესაკლავეები თვეში ერთხელ უთუოდ გასინჯონ ხოლმე მკურნალებმა. ამ დადგენილებისა თანახმად მუშათა და ყასბების გასინჯვა საბჭოს მკურნალს ბ-ნს გედალინსა აქვს დავალებული, რომელიც უკვე შეუდგა ამ ახალის მოვალეობის შესრულებას.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსის ინსპექტორი, პოლკოვნიკი ვ. მ. ციგალსკი სხვა უფრო დიდს თანამდებობაზედ თურმე გადაჰყავთ.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის ინსპექტორმა ტფილისის პოლიცმეისტერს წინადადება წარუდგინა, რომ ქალაქ-ს მკურნალთა და პოლიციის მოხელეთაგან საგანგებო კომისსია იქმნეს შემდგარი გოგილოს აბანოსი და ვორონცოვის ქუჩაზედ მყოფ საპნის ქარხნების გასასინჯად, რადგანაც სისუფთავის მხრივ მეტად საეჭვონი არიან.

*** ქალაქის ზოგიერთ პირველ დასაწყისს სკოლებში, უსუფთაობისა გამო, რამდენსამე ბავშვს ქეცი და მუნი გასჩენია, ამის გამო სასანიტარო ინსპექტორმა ქალაქის თვით მმართველობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების გამგეთ შეუძლებელ მოწაფეთათვის მუქთად გაეგზავნოთ აბანოს ბილეთები. ამ ბილეთებს სკოლების გამგენი მუქთად დაურიგებენ იმ მოწაფეებს, რომლებიც სიღარიბისა გამო აბანოში წასვლას ვერ ახერხებენ და ამით სხვა-და-სხვა სენის გავრცელებას ხელს უწყობენ. თუ რომ ქალაქის გამგეობა ამ შუამდგომლობას ვერ შეასრულებს, მაშინ ნება მომეცით ქალაქის საბჭოს მიერ გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად გადადებულ თანხიდგან შევიძინოთ აბანოს ბილეთები და დავურიგოთო.

*** იმპერატორის ალექსანდრე III სახელობაზედ დაწესებული 500 მანეთიანი პრემია ბაღოსნობისა და მევენახეობისა, მებაღეობისა და მეღვინობის ნიკიტას სასწავლებელის საპედაგოგო საბჭოს ამ წელს ორის საუკეთესო მოწაფისათვის მიუსაჯნია: ერთია ამათგანი ივანე გოგნაძე, მეორე არუთინ კარაპეტოვი. გოგნაძეს მიუღია 400 მან., კარაპეტოვს 100 მან.

*** ტფილისის საკომერციო ბანკს ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ქ. ფოთში ბანკის განყოფილების გახსნის ნება-რთვა მიეცეს.

*** საპატიმროთა მთავარ სამმართველოს უცნობებია ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლისათვის, რომ მეტეხის ციხეში სახელოსნოების გასაკეთებლადა და დანოტიოებულ შიგნითი კედლის ამოსაშრობად გადადებულია 8 ათასი მანეთიო.

*** ზაქათალის ოლქში დახოცილ შავ ჭირიან საქონლის პატრონებისათვის დასარიგებლად მთავრობას 5,000 მან. გადაუდვია.

*** როგორც „Тифл. Л.“-ს ატყობინებენ, საგარეჯოში ხუნაგი თან-და-თან თურმე ვრცელდება.

*** სოფ. ვაზიანის (ტფილისის მაზრაში) მახლობლად, სიღნაღისა და თელავის გზატკეცილზედ, წარსულს კვირას თათრებს საქონლის წასხმა სდომებიათ ერთს მარტყოფელს შეუნიშნავს ეს და თოფი უსროლია, რომლითაც ერთი ქურდთაგანი მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი მაშინვე მომკვდარა. დანარჩენები გაქცეულან.

*** კავკასიის ცნობილ მეთამბაქოე ენფიანჯიანცის მემკვიდრეებს შუამდგომლობა აღუძრავთ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, რომ ჭიათურის საავარაკოში იჯარით აღებულ 25 დესეტ. სახელმწიფო მიწის ვადა 12 წლით კიდევ განგრძობილ იქმნას. ამ ჟამად აღნიშნულს მამულში მოიჯარადრეებს გაშენებული აქვთ: თამბაქოს პლანტაციები, სააბრეშუმო შენობები, მუშათა საცხოვრებელი შენობები, საწყობები, ათასამდე კაკლის ხეებისა და ხეხილის ბაღი და სხ.

*** „Нов. Обозр.“-ს ატყობინებენ ქუთაისიდგან, რომ დაბრუნდება თუ არა შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ზდანოვიჩი პეტერბურგიდგან, მაშინვე საბჭოს სხდომები დაიწყება ქუთაისშიო.

*** იმავე გაზეთს სწერენ, რომ თავად-აზნაურთა საბუთის ქაღალდების გასასინჯად ექსპერტებად დანიშნულნი არიან: ბ-ნი ლორთქიფანიძე, ნანეიშვილი და პეტრიაშვილიო.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს ტფილისში ძალიან გაძვირდა ნახშირი და ტომარა ნახშირი, რომელიც წინად იყიდებოდა 1 მ. 10 კ., ეხლა 2 მ. 40 კ. და 3 მანეთი ღირს, ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა, გამოიძიეთ, რა არის ამის მიზეზიო. აღმოჩნდა, რომ ნახშირით ვაჭრობა ხელთ უგდია რამდენსამე ჩარჩს, რომელნიც ხელოვნურად უმატებენ ფასებს. ამიტომ ბ-მა პოლიცმეისტერმა უბრძანა ნახშირის მოვაჭრეებს, ნახშირი წონითა ჰყიდონ და ფუთ ნახშირში 50 კაპეიკზედ მეტი არ აიღონ.

*** 28 სექტემბერს რუსეთის საარქეოლოგო კრებაზე, პეტერბურგში პროფ. ნ. ი. მარრს წაუკითხავს მოხსენება: „О твореніяхъ Ипполита по грузинской рукописи X вѣка“.

*** ყარსის რკინის გზის სადგურ კარაკლისიდგან აცნობებენ გაზ. „ტფ. ფურც.“-ს, რომ 1-ლ ოქტომბერს სოფ. ცატერის ოციოდე გლეხი თავს დაეცა რკინის გზის მე-1 6 ვერსზედ მყოფ. საყარაულოს. მძიმედ დაჭრილია თავში ხანჯლით მუშა ალექსი ბოჭორიძე. სუბუქად — გზის ოსტატი ანდრიანოსი და მუშა თევდორე ბოჭორიძე. თავ-დასხმის მიზეზი თურმე ის არის, რომ წინა დღით რკინის გზის მატარებელს ამ სოფლელების ექვსი სული საქონელი გაუსრესია. გლეხებს ჩხუბის შემდეგ სახელმწიფო რკინის გზის იარაღი წაუღიათ და წასულან.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „შ. არაგვისპირელი“, მოთხრობანი ავტორისა. წიგნი პირველი, ავტორის სურათით, „ცნობის ფურცლის“ გამოცემა. წიგნში მოთავსებულია 10 მოთხრობა, შეიცავს 205 გვერდსა და ღირს 50 კაპ.

*** უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მომავალ ნოემბრის თვის 27-დგან 2 დეკემბრამდე ქალაქ ნოვოროსიისკში გაიმართება შავის ზღვის პირის გუბერნიის მეღვინეთა და მევენახეთა კრებები სხვა-და-სხვა საგნის გამოსარკვევად. როგორც ამ კრებებისათვის შედგენილ პროგრამიდგანა სჩანს, ამ კრებებზედ მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ როგორც შავის ზღვის პირის გუბერნიისა, აგრეთვე სხვა ადგილების მეღვინე-მევენახეთაც. კრების თავმჯდომარედ იქმნება კავკასიის უფროსი მეურნე ნაძ. სოვ. ბ-ნი სტაროსელსკი. კრებებზედ მონაწილეობის მიღების სურვილი უნდა განაცხადონ არა უგვიანეს კრების დაწყების პირველ დღისა. ამ კრების დადგენილებანი შემდეგ წარედგინება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დასამტკიცებლად. კრებებზედ, სხვათა შორის, განხილულ იქმნება შემდეგი საქმეები: რა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ დაიფარონ ვენახი სხვა კუთხეებიდგან ფილოქსერისა თუ სხვა სენის შემოტანისაგან, რა საშუალება იხმარონ ვენახების ავადმყოფობასთან საბრძოლველად, როგორ გააუმჯობესონ საზოგადოდ ამერიკულის ვაზის ნერგების გავრცელების საქმე, ადგილობრივ პირობათა მიხედვით როგორ გააუმჯობესონ მევენახეობის, მეღვინეობის და მებაღეობა-მეხილეობის წარმოების საქმე, რომ უფრო კარგად და ნაყოფიერად იქმნას დაყენებული და გავრცელებული ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა შორის და სხვანი.

*** დღეს, 7 ოქტომბერს, ქართულ თავად-აზნაურთა თეატრში ამ სეზონში პირველი წარმოდგენა იქმნება გამართული რუსეთის საიმპერატორო თეატრის დრამატიულ არტისტებისაგან ცნობილის არტისტის ბ-ნ დალსკის რეჟისორობით. წარმოადგენენ ოსტროვსკის დრამას „უბრალოდ დასჯილნი“; ნეზნამოვის როლს შეასრულებს ბ-ნი დალსკი.

*** 16 სექტემბრიდგან 22-მდე სხვა-და სხვა გადამდებ სენით 8 კაცი გამხდარა ტფილისში ავად; ამათგან — წითელი ქარით ავად ყოფილა 1, ხუნაგით — 2, ყელ-ჭირვებით — 2 და კუჭის სახადით — 3.

## ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ

ქუთაისის გუბ. მეაბრეშუმეთა I ამხანაგობამ წარსულ კვირაში ერთი პარტია აბრეშუმის ჭიის გამხმარი პარკი გაგზავნა მარსელში გასასყიდად „პაკეს“ კომპანიის გემით „Mingrelie“-ით, — სულ 971 ცალი (თითოეული ცალი $2^{1}/_{2}$ ფუთია). მთელი პარტიის გაგზავნა მარსელამდის დაჯდა სამტრედიიდგან რკინის გზის ხარჯითა და გზაში დაზღვევით 3,885 მანეთამდის, ანუ ფუთი რვა აბაზამდე (1 — 66 კ.). კიდევ აქვს ამხანაგობას გასაგზავნი რვაასამდე

---

ისინი ჩვენში ისე მოქმედებენ, როგორც ნამდვილ მაკკიაველისტებს შეშვენის. მათი მსჯელობა გამოურკვეველია, მათი მიზანი ბუნდოვანია და ამ ბუნდოვანს, ხშირად პირადს და წვრილმანს მიზანს ანაცვალებენ ისინი გონიერებას, საზოგადო ინტერესებს. უკუღმართ მიზნისათვის ხმარობენ ისინი ყოველ გვარს საშუალებას; ტყუილს ამბობენ, თავისს ნათქვამს მეორე წუთს უარ-ჰყოფენ, საოცარს ხმებს ავრცელებენ, ცილსა სწამებენ პატიოსანსა და ცნობილს მოღვაწესაც კი, უსიამოვნებას სთესვენ იმით, რომ თვისს მიერ შეთხზულის ხმებით ერთს სასარგებლო მოღვაწეს მეორეს წინააღმდეგ აყენებენ, რათა მეტი არეულობა მოახდინონ, მეტი შფოთი და მით უფრო ადვილად მიაღწიონ თავისს მიზანს. საუბედუროდ ხშირათ ამ ჯგუფში ერევიან ზოგი ეხლანდელი კურსოვნიკებიც, რომელთაც გვიმტკიცებენ, რომ ცოტაოდენის ცოდნის შეძენა, სახელმძღვანელოთა გაზეპირება იგივე უსწავლელობა, უმეცრებაა; თითქოს სცდილობენ, რომ იმათი წინამორბედი ზოგი შერცხვენილი თერგ-დალეულნი უშთამამავლოდ არ დარჩეს. *) ამ ადამიანების ნამდვილი დამახასიათებელია წრევანდელი კრება ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელთა, კრება, რომელშიაც ძლიერ კარგად იჩინა თავი მათმა სულიერმა ღირსებამ და იმ სურვილმა, რომ შექმნან ადვილად „რყევა-ნგრევა“, სულ ერთია, თუნდა დედა მიწაც და მთელის ერის პატიოსანი სახელიც მტვრად იქცეს.

გადიკითხეთ, მკითხველო, სხდომის ანგარიშები რომელ გაზეთშიაც გინდათ, თუ დამსწრე არ იყავით, ნურავის (დროებით მაინც) ნუ მიემხრობით და მიეკერძებით და მაშინ თქვენ იტყვით, რომ მეორედ მოსვლის ნამდვილი ნიშნებია დღეს ჩვენში.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის კრებამ საკმარისად დაგვისურათა ზოგიერთი უკუღმართობა და ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა კრებამ ხომ უფრო გააცხოველა ეს ჩვენის ცხოვრების სურათი. წვრილმანმა მოსაზრებამ იქამდის მიიყვანა საზოგადოება, რომ ძმა აღუდგა ძმას, მამა — შვილს და შვილი — მამას, ცოლი — ქმარსა და ქმარი — ცოლს. ამ ნაირად ქუთაისის ბანკობანამ ოჯახის წმინდა კარები შესტეხა, და იქ ორნაირი, ერთმანერთის წინააღმდეგი მისწრაფება და მიმართულება დაჰბადა. მაკკიაველისტების მსგავსს ადამიანების გაჩენამ ჩვენში შეუძლებლად ჰქმნა ის, რაც ყოველ საზოგადოებისათვის სანატრელი და სასურველია. პირადობის უზომო თავისუფლება, საზოგადო საქმეთა მეტის-მეტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გასაზოგადოება, ესე იგი აზრის გამოსათქმელად მოწვევა ისეთის ხალხისაც, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს თვითვე იმ საზოგადო დაწესებულებასთან, — ყოველივე ეს ჩვენში მავნებელი შეიქმნა თვით საზოგადო საქმის წინმსვლელობისათვის. ჩვენებური მაკკიაველი დაუპატიჟებლად, თავისუფლად, ზარითა და ზეიმითა, შემოდის კრებაზედ, თითქოს ნამდვილი სახლის პატრონი იყოსო, იმიტომ კი არა, რომ საქმე განიხილოს და თვისი ნამდვილი და გულწრფელი მსჯავრი დასდოს, არა, შედის მხოლოდ იმისთვის, რომ შფოთი ასტეხოს. ჯერ ისეც გადაჭარბებულია ჩვენში ყოველგან გარევის მადა, მეტადრე ზემოხსენებულ ვაჟბატონთა ყოველგან თავისს შეყოფვის სურვილი, რის გამოც ისინი ყოველგვარ საშუალებას ჰხმარობენ, ჰრწმუნების სიგელებს ჰპოულობენ, მარტო იმიტომ, რომ ალიაქოთი და აურ ზაური ასტეხონ.

სამწუხაროა ისიც, რომ ადამიანი პატივს არა სცემს თავს, იმას ადამიანად სთვლიან სხვანი და ის კი თავისის საქციელით უარ-ჰყოფს თავისსავე ადამიანობას. თავისის თავის პატივისცემა რომ ჰქონოდეთ ამ ადამიანებს, რით უნდა ავხსნათ ის, რომ ასე თუ ისე სოციალურ მდგომარეობით ცნობილმა მკურნალმა უარჰყო თავისი სიტყვა მაშინაც-კი, როდესაც კარგად იცოდა, ამ ორპირობას შენიშნავდნენ, თუნდაც ოდისსეისავით ცბიერ-ჭკუიანი ყოფილიყო მდივანი და არ ალებეჭდა ოქმში ეს უარყოფა მკურნალის მიერ მისისავე სიტყვებისა. აი როგორ ესმით ამ ვაჟბატონებს თავმოყვარეობა და საზოგადო საქმე. სადაც თავისის თავის პატივისცემა არ არის, იქ განა შესაძლებელია სხვისი პატივისცემა? სადაც ვინმე დღეს იტყვის ერთს რასმეს და ხმალ-კი უარ-ჰყოფს მისთვის მხოლოდ, რომ იძულებულია უარ-ჰყოს ბუნდოვან და წვრილმან მიზნის ძალ-დატანებით, სადაც უჭკუობით გარეულან იმისთანა საქმეში, რომელიც ნამდვილის სიყვარულით არ უყვართ და რომლის ვითარებაც არ ესმით, გარეულან მარტო იმად, რომ დიდი სურვილი აქვთ რაღაც ძალა წარმოადგინონ საზოგადოების მშვიდობიან მსვლელობის შესარყევად, იქ სახიფათოა ყოველი საზოგადო საქმის მდგომარეობა, სახიფათოა თვით ნამდვილ გულშემატკივარ საზოგადო მოღვაწის მდგომარეობაც-კი.

(დასასრული იქნება)

*) ჭიათურის ქვა-ნახშირის მწარმოებელთა კრების დროს ეს ღირსეული შვილები და მამები კარგად შეთანხმებულიყვნენ, ასე რომ ამ კრების დროს ჩვენი ძველი ცნობილი გმირებიც თარეშობდნენ და მათს თარეშობას ჩვენი პოეზიის მიბნედილი სხივებიც ზედ დაჰნატროდა თურმე.

ცალი. შარშან ამ დროს მარსელში 18 მანეთით მეტად ფასობდა ფუთი პარკი, ვინემ დღეს, თუმცა მოსალოდნელია, რომ ნოემბერ-დეკემბრისათვის აიწევა ფასები.

სოფელს ტობანიერში და აგრეთვე სოფ. ვანში მეაბრეშუმეთა ამხანაგობა სამერმისოდ პარკის სახმობ ფარდულების გამართვასა ჰპირდება იმ პირობით-კი, თუ ადგილობრივი საზოგადოება ფარდულთან ერთად სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა დაარსებას მოახერხებს, რომ ერთმა მეორეს ხელი შეუწყოს. ამ სოფლებში 22 სექტემბრიდგან უკვე შეუდგნენ ამხანაგობის წესდებაზედ ხელის მოწერას. სოფელი სიხარულით ეგებება ამ საქმეს და იგი ადვილი მოსახერხებელიცაა, თუ-კი ერთობა ექმნებათ, მაგრამ, საუბედუროდ, ერთობა ხშირადა კოჭლობს ჩვენში. მაგალითად, ფარდულის მოსათავსებელ ადგილის ამორჩევამ სოფელი ახლავე ორად გაჰყო, თუმცა ეს საქმე სრულიადაც არა ღირს ლაპარაკად, რადგანაც სულ ნახევარი ვერსით იქნება ერთი მეორეზედ დაშორებული მოწინაამდეგე მხრისაგან დანიშნული ადგილები.

ამავე სოფელ ტობანიერში შეკრებილმა ცნობებმა წრევანდელი პარკის მოსავლის შესახებ აღმოაჩინა შემდეგი: დროის უქონელობისა გამო, ცნობები გამოვკითხეთ ამ ხანად მხოლოდ თვრამეტს მეაბრეშუმეს. იმათგან ორს მესამედს (11) მეაბრეშუმეთა ამხანაგობისაგან დარიგებული თესლით მოუწევია მოსავალი, ერთს მესამედს (6)-კი ტფილისის სადგურისაგან შემოწმებული თესლი ჰქონია. საზოგადო აზრი ამხანაგობის თესლს ამჯობინებს. იმ ექვსთაგანს მოჰსვლიათ თითო მისხალ თესლზედ:

| | | |
|---|---|---|
| ერთ მეაბრეშუმეს | —20 | გირვანქა, |
| ორს | — $13^{1}/_{3}$ | „ |
| ერთს | —10, | „ |
| ერთს | — $6^{1}/_{3}$ | „ |
| ერთსაც | —2 | გირვანქა. |

ერთი მეორეზე-კი თითო მისხალზე საშუალო რიცხვით მოჰსვლიათ ათი გირვანქა და რვა მეათედი გირვანქისა. თერთმეტ მეაბრეშუმეს, რომელთაც ამხანაგობის თესლი ჰქონიათ, მოჰსვლიათ თითეულ მისხალზედ:

ერთს — $22^{1}/_{2}$ გირვანქა.
ერთს — 20, „
ერთს — $17^{1}/_{3}$, „
ორს — $15^{1}/_{3}$, „
სამს — $13^{1}/_{3}$, „
ერთს — 10 გირვანქა,
ერთს — 5 და
ერთსაც — 0.

საშუალო რიცხვით თითეულ მისხალზედ ცამეტი გირვანქა და ერთი მესამედი გირვანქისა აუღიათ. უკანასკნელ ორ მეაბრეშუმეთაგანს ერთს თესლი სრულიად დაუმგუნებია და თესლადვე დარჩენია გამოუსვლელი, რაც გამოკითხვის შემდეგ აიხსნა იმ მიზეზით, რომ თესლს ძლიერ ადრე, მარტშივე, სითბო, ცხელი ამინდებისა გამო, მისცემია და როცა ჭიას გამოსვლა დაუწყვია, მერმე სიცივეები დასდგომია; მეორესაც ჭიის მოუვლელობა და უყურადღებობა ჰბრალდება. ამხანაგობისაგან გაცემული თესლი ქრისტოდულოდის ფირმისა იყო. ტფილისში შემოწმებულთაგანში უკეთესი თესლი ფერრანის ფირმას მიუცია, როგორც კოლოფების მოტანით აღმოჩნდა.

ნ. წერეთელი

# რუსეთი

სამღვდელოებათა კერძო საგუბერნიო კრებებზედ გარდაუწყვეტიათ ზოგიერთ ადგილას, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მაჰმადიანთა და ისრაელთა შვილებიც მიიღონ ხოლმე, მაგრამ ისე-კი, რომ საღმრთო სჯულის სწავლება მათთვის სავალდებულო არ იყოს. ამ ახალს ნაბიჯს ის აზრი აქვს, რომ იქნება როგორმე მივიზიდოთ და მოვაქციოთ კიდეცაო.

— საერო განათლების სამინისტროს განუმარტავს, რომ უნივერსიტეტში იურიდიულს ფაკულტეტზედ 2 ხარისხით სწავლა დამთავრებულთ, რომელთაც შინაურ მასწავლებლის უფლება აქვთ მიღებული, ნება აქვთ მხოლოდ ის საგნები ასწავლონ, რომელი საგნიდგანაც თითონ მიუღიათ უნივერსიტეტში უფონის დროს საუკეთესო ნიშანიო. ამ რიგად დანარჩენ საგნების სწავლების ნება სრულიად აღარ ეძლევათ.

— როგორც ხმა დადის, მოსკოვში სპეციალურ საფაბრიკო-საქარხნო ბანკის გახსნას თურმე აპირებენ. ამ ბანკიდგან, რასაკვირველია, მხოლოდ ქარხნებისა და ფაბრიკების საჭიროებათათვის შეიძლება ფულის გამოტანა.

— პეტერბურგის სარკინიგზო ინსტიტუტში ამ წელს 300 მდე თხოვნა წარუდგენიათ და პირველს კურსზედ-კი სულ 150 კაცისათვის არის ადგილი. ამის გამო ბევრი მთხოვნელთაგანი უარს მიიღებსო. ინსტიტუტში შესვლის სურვილს მომეტებულად უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი აცხადებენ.

— ფინანსთა და შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სამინისტროებთან შეთანხმებით, დაბალ სახელოსნო სასწავლებლებისათვის საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია ნორმალური წესდება, რომელიც უკვე გაუგზავნა თურმე ყველა სამოსწავლო ოლქებს, რომ აღნიშნულ სკოლების წესდების შედგენის დროს ამ წესდებით იხელმძღვანელონ ხოლმე.

— საერო განათლების სამინისტრო და სახელმწიფო კონტროლი შეთანხმდნენ, რომ ამიერიდგან სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს ნება მიეცეთ 5,000 მან. ღირებული შენობის აგების ნებართვა თავისით მისცენ ხოლმე.

— ქალთა გიმნაზიების პროგრამებსა და სწავლების გეგმაში საერო განათლების სამინისტრომ შემდეგი ცვლილება შეიტანა: გეოგრაფიის კურსი მე-VII კლასიდგან მე-V და VI-ში იქმნა გადატანილი და თითოეულს კლასში დაინიშნა კვირაში ორი გაკვეთილი. მე-V კლასში ევროპისა, მის ახალშენებისა და აზიის გეოგრაფიის კურსს გაიმეორებენ, მე-VI-კი უფრო დაწვრილებით შეისწავლიან რუსეთის გეოგრაფიას. თუ რომ დამაბრკოლებელი არა აღმოჩნდება-რა, მაშინ მე-VI კლასშივე შეასწავლიან საფიზიკო გეოგრაფიას. რაც შეეხება გეოგრაფიიდგან უკანასკნელად გამოცდასა, ასეთი გამოცდა დანიშნულია მე-VI კლასიდგან მე-VII-ში გადასვლის დროს და მოწაფეებს მოეთხოვებათ მხოლოდ სამშობლო გეოგრაფიის ცოდნა, ე. ი. კურსი მე-VI კურსისა. მე-VII კლასისათვის დატოვებულია მხოლოდ ეგრედ წოდებული სამათემატიკო გეოგრაფია და გამოცდა დაენიშნებათ მხოლოდ იმ მოწაფეებს, რომლებსაც წლის ნიშნად სამზედ მეტი არ ეყოლებათ. რუსეთის გეოგრაფიის კურსი, რომელსაც დღემდის მესამე კლასში გადიოდნენ, მეოთხე კლასშია გადატანილი, ხოლო მე-II სა მე-III-ში. მეორე კლასში მხოლოდ ევროპის გარეშე ქვეყნების გეოგრაფიას შეისწავლიან. საერო განათლების სამინისტროს კიდევ სხვა ცვლილების მოხდენაც აქვს განზრახული.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ამ ბოლოს დროს ხმა გავრცელდა, რომ ჩინეთის იმპერატრიცა გარდაიცვალაო. ა, მაგალითად, „Daily Mails“-ს რას ატყობინებენ დეპეშით: „პეკინში მყოფმა იტალიის წარმომადგენელმა დეპეშით აცნობა თავის მთავრობას, რომ პეკინამდე ხმა მოვიდა ქვრივის იმპერატრიცის გარდაცვალების შესახებაო. ამბობენ, იმპერატრიცა უკვე დაასაფლავესო. ჩინელი მოხელენი არ ამოწმებენ ამ ამბავს, მაგრამ არც უარსა ჰყოფენ. შანსის პროვინციიდგან აუარებელი ერთი მეორის საწინააღმდეგო ამბები მოდის იმპერატორისა, იმპერატრიცისა და პრინცესის შესახებ. ევროპის გაზეთებს არა სჯერათ იმპერატრიცის გარდაცვალების ამბავი. ბევრი ჰფიქრობს, რომ ეს ამბავი ინგლისურმა გაზეთებმა განგებ გაავრცელესო.

— როგორც შორეულ აღმოსავლეთიდგან უკანასკნელად მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, კიანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ამბოხება ძალიან გავრცელდა. იქიდგან ამბოხება შანდუნის პროვინციის სამხრეთ პროვინციაშიც ვრცელდება. მეამბოხენი დათარეშობენ აგრეთვე ნანკინის ჩრდილოეთითაც, განსაკუთრებით თავი მათ ხუნძეხუს ტბის გარეშემო მოიყარეს თურმე. ძან-ძიან პუში მოკრივეებმა დააქციეს კათოლიკეთა მისსია. ანდანში მოკრივეებმავე დაატყვევეს ევროპიელნი გაჭარნი. მეზობელ ნან-ვეის პროვინციიდგანაც უნუგეშო ამბები მოდის. შანჰაის ნახევარ კუნძულზედ მეამბოხეებმა იმით იწინეს მხოლოდ თავი, რომ ჩინელ ქრისტიანებს დაეცნენ. ყველა ამის გამო ინგლისელები შანჰაისა და ვუზუნის ნავთ-სადგურში მეტ სამხედრო გემებს უგრიან თავს.

**ინგლისი.** საპარლამენტო არჩევნები ინგლისში თითქმის დასრულდა, და ამიტომ შედეგი არჩევანებისა უკვე გამოირკვა. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის დასმა, ე. ი. კონსერვატორებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეს გამარჯვება თვალ-საჩინო ვერ არის; კონსერვატორებს ეგონათ, სრულიად გავანადგურებთ მოწინააღმდეგე დასსაო; დიდი იმედი ჰქონდათ ხალხის პატრიოტობით გატაცებისა ტრანსვაალ ორანჟეს დაპყრობის გამო, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ და იმათ წარმომადგენელთა რიცხვს პარლამენტი შარშანდელთან შედარებით თითქმის არაფერი არ მოემატა. სულ ინგლისის საზოგადოებათა პალატაში 670 წევრია. 30 სექტემბრამდე არჩეულ იქმნა 325 კონსერვატორი, 66 ლიბერალ-უნიონისტი, 170 ლიბერალი და 78 ირლანდიელი ნაციონალისტი. მთავრობის მომხრე დასს 132 კაცი ეყოლება მეტი პარლამენტში, ე. ი. თითქმის იმდენივე, რაც შარშანა ჰყავდა.

**საფრანგეთი.** საპარლამენტო სესსია საფრანგეთში 27 ოქტომბერს დაიწყობა. მინისტრთა საბჭოს ამ სესსიისათვის მრავალი კანონ-პროექტი აქვს დამზადებული შინაურ საჭირ-ბოროტო საგნების შესახებ. ვალდეკ-რუსსოს სამინისტრომ დღემდის დრო თითქმის სულ ნაციონალისტებთან ბრძოლას მოანდომა და ამის გამო ვერც ერთი პროექტი ვერ განასხორციელა. ეხლა-კი, როდესაც სამინისტრომ ნაციონალისტები სრულიად დაამარცხა და რესპუბლიკა მოსალოდნელ განსაცდელს გადაარჩინა, იმედი აქვს უფრო ნაყოფიერ შრომას შეუდგეს. ამ აზრით მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა სესსიის დროს კვირაში პარლამენტის რამდენიმე კრება იმ რეფორმების განხილვას მოანდომოს ხოლმე, რომელნიც ეკონომიურ საგნებს შეეხებიან. პირველი ადგილი ამათ შორის უჭირავს სასკოლო რეფორმასა და კანონს ასოციაციების შესახებ.

— მთავრობამ ერთი საშუალება კიდევ იხმარა ნაციონალისტთა თავ-გასულობის ასალაგმავად. როგორც ვიწყით, ნაციონალისტებს აწინდელი პრეზიდენტი საფრანგეთისა ლუბე ძალიანა სძულთ. ისე დღე როგორ გავა, რომ საჯაროდ ცუდისა და ურიგო სიტყვებით არ მოიხსენიონ პრეზიდენტი ლუბე. მთავრობამ მოიწადინა ეხლა ნაციონალისტებს ამისი ნება აღარ მისცეს. პარიჟის პოლიციის პრეფექტმა ამ დღეებში შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა რესპუბლიკის მთავარ ბრალმდებელს, რათა მან თავის მხრივ კომისარებს აცნობოს: „ყველა, ვინც ქუჩაზედ შეურაცხმყოფელ სიტყვას წარმოსთქვამს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ დააპატიმრეთ და პოლიციაში წაიყვანეთ. ასეთი კაცი სამართალში უნდა იქმნას ხოლმე მიცემული.“

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ტრანსვაალის პრეზიდენტმა კრიუგერმა თავისს დაბადების დღეს მისალოცი დეპეშები მიიღო წმ. ელენეს კუნძულიდგან გენერალ კრონიესა და სხვა ტყვე ბურებისაგან. გაზეთებს უკვირთ, ინგლისელებმა როგორ მისცეს ნება ტყვეებს ასეთის დეპეშების გაგზავნისა. მისალოცი დეპეშები მოხუცმა ევროპიდგანაც მიიღო, სხვათა შორის, პარიჟიდგან. გაგზავნილ დეპეშაზედ 102,180 კაცს უწერია ხელი. ხოლო გერმანიიდგან და ჰოლანდიიდგან გაგზავნილ დეპეშებზედ ორივეს ერთად ერთ მილიონ ასი ათას კაცს უწერია ხელი.

— გენერალმა დევეტმა არა ერთხელ მოატყუა დაუკავშირა(?) ყინულზედ ინგლისის ჯარის „მამაცი“ და „მოხერხებული“ (ასე იხსენებენ ხოლმე უფრო ვლდთვის ინგლისური გაზეთები თავიანთ გენერლებს) გენერალი. აი, სხვათა შორის, ჟან კარერი რას მოგვითხრობს გაზეთ „Matin“-ში: „ერთხელ დევეტს ფეხდაფეხ მისდევდა თავისის ჯარით გენერალი მეტუენი. სოფლის სიფრთხილით მიიპარებოდნენ ინგლისელნი ბურების ბანაკისაკენ, რომელსაც შორიდგანვე მოჰკრეს თვალი. უკვე გარკვევით დაინახეს თეთრი კარვები და ერთ კარავთან-კი — დარაჯი. ლორდი მეტუენი წინდაწინვე სიხარულს მიეცემა: ეჭვი აღარა ჰქონდა, რომ ამ დღეს დევეტს ხელში ჩაიგდებდა... მოწინავე რაზმი პირველ კარავთან მოვიდა, მაგრამ შიგ არავინ დახვდათ. ამან სიმამაცე შეჰმატა ინგლისელებს. უშიშრად შევიდნენ შიგ ბანაკში, მაგრამ ვერც ერთი კაცი ვერა ჰნახეს. ბოლოს დარაჯთანაც გაეშურნენ და ნახეს, რომ ეს დარაჯი ხისა ყოფილა. ხელში დარაჯს შემდეგის შინაარსის წერილი ეჭირა, მეტუენთან მიწერილი; „ნება მიბოძეთ, დაგიტოვოთ ეს ძველი კარვები. მე წავართვი თქვენებს ურმები ახალის კარვებით. ეს ახალი კარვები ბევრადა სჯობია ჩვენებს, ამიტომ ძველებს თქვენ გიტოვებთ და მადლობასაც გიძღვნით.

ქრისტიანე დევეტი

„მეორედ დევეტმა ტელეგრაფის სადგური დაიჭირა და როდესაც შიგ იდგა, ინგლისელ გენერალის გუნტერისაგან რობერტსთან გაგზავნილი შემდეგი დეპეშა მიიღო. „დევეტი თითქმის ჩვენ ხელთაა. გამოგვიგზავნეთ ახალი ჯარი მისაშველებლად“. ზრდილობიანმა კორესპონდენტმა დევეტმა მაშინვე გაუგზავნა გენერალს პასუხი რობერტსის მაგიერ: „მისაშველებელი ჯარი გამოვგზავნე. რობერტსი“. იმავე წუთს ლორდის რობერტსის სახელზედ ახალი დეპეშა მოვიდა: „ჯარი აღარაა საჭირო. დევეტი და 5000 ბური ტყვედ ჩავიგდეთ. გუნტერი“. როდესაც დევეტი დეპეშების გზავნაში იყო, გუნტერს, თურმე ნუ იტყვით, საიდაც სხვაგან დევეტი ტყვედ ჩაუგდია. ამაზედ მეტი სიმამაცე და ოსტატობა-და იქმნება!

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამას წინად ნიუ-იორკში ერთ მდიდარ ფრანგს თავისი ახალგაზრდა 24 წლის მეუღლე დაუკარგავს და მხოლოდ ექვსის დღის შემდეგ უპოვნია. ეს ფრანგი ნიუ-იორკში შესულა რამდენისამე დღით, ქალაქის დათვალიერებას აპირებდა და შემდეგ უკანვე სამშობლოში დაბრუნებას. სულ სამნი ყოფილან: ქმარი, ცოლი და ორის წლის ბავშვი. მეუღლენი ერთ სასტუმროში ჩამომხდარან. ერთხელ, როდესაც ქმარი სადღაც წასულა, ცოლს ქუჩაში გასეირნება მოსდომებია. აუყვანია პატარა ბავშვი და გასულა გარედ. როდესაც რამდენსამე ქუჩას გასცილებია, მხოლოდ მაშინ მოუგონია, რომ არც სასტუმროს სახელი იცოდა, არც იმ ქუჩისა, სადაც სასტუმროა. ამასთან ქალს არც ერთი სიტყვა არა სცოდნია ინგლისურად. თუმცა ქმარს იმავე დღეს უცნობებია პოლიციისათვის ცოლის დაკარგვის ამბავი და თითონაც დღე-ღამე ქუჩებში უძებნია, მაგრამ ქალი მაინც ვერსად ვერ უპოვნიათ. მხოლოდ მეექვსე დღეს ერთ პოლიციელს დაუნახავს ქუჩაში ძალზედ დაღონებული და დაძმარებული ქალი, რომელსაც ხელში პატარა ბავშვი ეჭირა. ბავშვი საცოდავად სტიროდა თურმე, ხოლო დედას ჩაყვითლებულ თვალებზედ ეტყობოდა, რომ დიდის ხნის მშიერი უნდა ყოფილიყო. პოლიციელი მისულა და უკითხნია, სახლს ხომ არ დაეძებთო, მაგრამ ქალს ვერაფერი გაუგია და მწუხარებით მხრები აუწევია. მაშინ პოლიციელს უნიშნებია, გამომყევიო, წაუყვანია პოლიციის სადგომში და იქ თარჯიმანის შემწეობით ყველაფერი გამორკვეულა. საწყალს ქალს ექვსის დღის განმავლობაში დიდი ტანჯვაწვალება გამოეარა. თან ფული სულ არა ჰქონია და თავს მათხოვრობით იკვებავდა თურმე.

* * *

ამას წინად ბერლინში დაიბეჭდა ფერდინანდ გეიგლის წიგნი „ჩინეთის კულტურა და სარწმუნოება“. ამ წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ჩინელების საღმრთო ჩვეულებანი. სხვათა შორის ავტორი მსხვერპლის შეწირვასაც აღგვიწერს. ჩინეთის სარწმუნოების ძალით მსხვერპლს სასულიერო წოდების პირნი კი არა, იმპერატორი და მანდარინები სწირავენ ხოლმე. ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩინეთში ქრისტიანობა ვერა ვრცელდება. მონათლულ ჩინელს მანდარინობას არასოდეს არ მისცემენ, რადგანაც იგი, როგორც ქრისტიანე, მსხვერპლს ვერ შესწირავს და მსხვერპლის შეწირვა-კი მანდარინის ერთ უმთავრესს ვალდებულებას შეადგენს. მსხვერპლის შეწირვის დროს დიდ ხმარებაშია საკმეველი, სწირავენ მსხვერპლად ხილს, ღვინოს, ყავას, ჩაის, აბრეშუმს და სხვა-და-სხვა საჭმელს. სამსხვერპლო ღვინოს ხილისაგან ამზადებენ იქ და არა ყურძნისაგან. დიდი ამბავია ხოლმე მაშინ, როდესაც მსხვერპლს თვით ბოღდიხანი სწირავს. ტაძარში ამ დროს იმპერატორთან ერთად იკრიბებიან პრინცები და უმაღლესნი მოხელენი. ყველას თავ-თავისი ადგილი

უპირავს, ცალ კუთხეში მემუსიკენი არიან. დაჯდომის ნება არავის არა აქვს, თვით იმპერატორსაც-კი. რამდენისამე ხანს ყველანი გ ჩუმებულნი არიან და დიდის სასოებით იყურებიან ზევითკენ. მერე ზეცის სულებს იხმობენ ლოცვა-ვედრებით. შემდეგ იმპერატორი უკიდებს საკმეველს და შესაფერ ალაგასა სდგამს. ეს პირველი მსხვერპლია. მემუსიკენი ამ დროს გაცხარებულნი უკრავენ. ამ ცერემონიების დროს ჩინელები მალ-მალ იდრეკენ მუხლს. პირველ მსხვერპლს სხვაც მოსდევს. უდიდეს მსხვერპლის შეწირვა წელიწადში ერთხელა ხდება. ამ მსხვერპლს იმპერატორი ცასა და დედამიწასა სწირავს. პეკინში ამ ღმერთებისათვის ორი მშვენიერი ტაძარია აგებული. იმპერატორის მეტს ამ მსხვერპლის შეწირვა არავის შეუძლიან. თვით იმპერატორი სამი დღე მარხულობს და ემზადება მსხვერპლის შესაწირავად. მარხულობას ის მოხელენიც არიან ვალდებულნი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მსხვერპლის შეწირვაში.

* * *

როგორც ვუწყით, ამას წინად საფრანგეთის მთავრობამ ნადიმი გაუმართა პარიჟში ქალაქის მოურავებს. მთავრობას ეს ნადიმი 800,000 ფრანკი დაუჯდა. თითო კაცზედ 36 ფრანკი მოდის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ოფიციალურად იუწყებიან გენერალის სუბბოტიჩის მიერ მუკდენის დაჭერის შესახებ, რომ როდესაც მოწინავე ჯარი მუკდენში შევიდა, ქალაქს ბევრს ადგილას ცეცხლი ეკიდა და მდიდარი სახლები, მაღაზიები, ძიან-ძიუნის სასახლე, ხაზინა და მთავრობის დაწესებულებათა შენობანი სრულიად დაცალიერებული იყო. იმპერატორის სასახლე გაძარცული და ცეცხლის წასაკიდებლად მომზადებული უნახავთ. ევროპიელთა შენობანი და ქრისტიანეთა სახლები სრულიად განადგურებულია. ცეცხლი ჩვენმა ჯარმა ჩააქრო მცხოვრებთა დახმარებით. ჰნახეს მრავალი ზარბაზანი ახალის სისტემისა, აგრეთვე თოფები და ტყვიები. ჩვენმა ჯარმა თოფის ქარხანა დაიჭირა.

**ოდესა.** საიმპერატორო იახტით „შტანტარტით“ მოვიდა აქ ლივადიიდგან საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი, კრიტის გენერალ-გუბერნატორი, და აქედგან რკინის გზით კაპენგაგენში წავიდა.

**კანტონი.** მეამბოხეთ სუნიატსენის უფროსობით წარსულ ორშაბათს დაიჭირეს ქალაქი მუჯოუ, აღმოსავლეთ მდინარეზედ მდებარე. ადმირალმა ხომ მთავარის ჯარით დღეს დილით მიანება თავი სამჟუნს და მეამბოხეთ დაედევნა. ქალაქის დასაცველად ადმირალმა 250 კაცი დასტოვა.

**ნიუ-იორკი.** პირველი კრება სამშვიდობო პირობათა მოსალაპარაკებლად ლიხუნგ-ჩანგისა და ცინის მიერ სახელმწიფო ელჩებთან გაგზავნილ წერილში დანიშნულია შაბათისათვის.

**შანხაი.** როგორც ნანკინიდგან კერძოდ იუწყებიან, 2,500 კაცისაგან შემდგარ რაზმიდგან, რომელიც ნანკინიდგან გენერალმა ლიუმ იმპერატორთან წაიყვანა ძიანსუნში, 1500 კაცი გაქცეულა მაშინ, როდესაც მდინარე იანძეს გადასულან. მეორე რაზმ, 2,500 კაცისაგან შემდგარი, ამავე აზრით გუანდუნიდგან წასულა. ამ რაზმიდგანაც ბევრი გაქცეულან.

**ტიან-ძინი.** რუსეთის ელჩს გირსს აზრადა აქვს ამ დღეებში პეკინს დაბრუნდეს.

6 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** იმიერ-ბაიკალის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოციევსკის გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა.

**შანხაი.** როგორც ხაიკოუდგან იუწყებიან, ხუბეს პროვინციის ვიცე-კოროლმა ბრძანება მიიღო, თავისს ადგილს თავი მიანებოს და სინანფუში წავიდეს. ამ ამბავს ელჩები დიდს მნიშვნელობას აძლევენ, თუმცა ოფიციალურად ამბავი შემოწმებული არ არის.

**ვაშინგტონი.** კონჯერმა აუწყა აქაურ მთავრობას ლიხუნგჩანგისაგან მთავრობის სახელით მიღებული ის წინადადებანი, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედოს სამშვიდობო მოლაპარაკებას. კონჯერის დეპეშა ჯერაც არ გამოუქვეყნებიათ. გეის, ერთის საათის მოლაპარაკების შემდეგ მაკ კინლეისთან, ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ვუტიფანგთან.

**პეკინი.** 4 ოქტომბერს ვალდერზეე პეკინში მოვიდა; ვუარონმა საფრანგეთის ჯარს დროშები გადასცა ამასთან იმპერატორის სასახლის ეზოში ჯარი დაათვალიერა.— იმ ნოტაში, რომელიც ლიხუნგჩანგმა და ცინმა სადიპლომატო კორპუსს გადასცეს, ნათქვამია, რომ დროა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებისაო; ისინი, ვინც „დიდის მუშტის“ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ, სამართალში იქმნებიან მიცემული და ჩინურის კანონების ძალით დაისჯებიანო. ლიხუნგ-ჩანგი და ცინი სცნობენ, რომ სახელმწიფოებს ჯილდო უნდა მიეცეთ საელჩოების დაქცევისა გამო; ზარალი სახელმწიფო დელეგატებმა უნდა გამოიანგარიშონ. შემდეგ, სახელმწიფოებს შეუძლიანთ მიიღონ ახალი სავაჭრო ხელ-შეკრულობანი, ან შესცვალონ ძველი ხელ-შეკრულებანი, იმასთან თვითეულ სახელმწიფოს შეუძლიან გამოსთქვას კერძოდ თავისი სურვილი; ლიხუნგჩანგი და ცინი თხოულობენ ამიტომ რომ დაუყოვნებლივ ომი შეწყვეტილ იქმნას და 7 ოქტომბერს სახელმწიფოთა დელეგატნი ძუნგ-ლიიამენში შეიკრიბნენ იმათთან მოსალაპარაკებლად.

**პარიჟი.** დელკასემ მეორე ნოტით იჰმართა სახელმწიფოებს. მინისტრის აღნიშნავს რა, რომ იმისი პირველი ნოტა ერთხმად იქმნა მოწონებული, ურჩევს განახორციელონ იმისი პროგრამა პ რველ ნოტაში აღნიშნულ პირობების თანახმად. დელკასსე აცხადებს იმ აზრს, რომ თვითეულმა სახელმწიფომ, დასახელებულ პირობათა მიღების შემდეგ, აცნობოს ეს ამბავი ჩინეთს, რათა წეს-რიგის აღდგენა დაჩქარებულ იქმნას, და მიანდოს პეკინში მყოფ თავისს წარმომადგენელს გადასცეს განსაზღვრული პირობანი ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელს ლიხუნჩანგს; ზოგმა სახელმწიფომ უკვე თანხმობა გამოუცხადა დელკასსეს; სხვებისაგანაც ამ ცოტა ხანში მოელიან პასუხს.

## წლიური ანგარიში ბაღდათის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი.

სწორედ წელიწადი და ორი თვე შესრულდა, რაც სოფ. ბაღდათში სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივ მოსამსახურე-მოხელე პირთა შემწეობით და გარეშე გულშემატკივარ ქართველ საზოგადოების დახმარებით იგი ჯეროვნად ემსახურება თავისს სიმპატიურს დანიშნულებას: თავ-თავისს დროზედ აწვდის მკითხველს საზოგადოებას როგორც ჟურნალ-გაზეთებს, აგრეთვე პატარ-პატარა რუსულ-ქართულ წიგნებსაც. ვიდაც შორიდგან მაყურებელმა ყაყბატონმა-კი „ივერიის“ ერთ-ერთი ნომრის საშუალებით ცუდის მხრივ დაუხასიათა მკითხველ საზოგადოებას ჩვენი ახალგაზდა, ჯერ კიდევ ნორჩი სამკითხველო. კიდევ-დაცინვა ყველას შეუძლიან, საჭირო-კი დახმარება და ხელის შეწყობაა ყოველ საზოგადო სასარგებლო საქმეში. ჩვენც გვესიამოვნება და გაგვეხარდება, რომ მდიდრულად მოვრთოთ ეს ერთად-ერთი ჩვენი გონების გასართობი, მაგრამ ამას უნდა ფული, ბ-ნ კორესპონდენტო, რომელსაც ჩვენ კაპეიკობით ვაგროვებთ სამკითხველოს სასარგებლოდ და თქვენ იმდენი გულუხვობა ვერ გამოგიჩენიათ, რომ ეს კაპეიკი სამკითხველოსათვის გამოგემეტნათ და შვიდი კაპეიკ-კი მარკაში დაგიხარჯავთ...

დაარსების დღიდგან მოკიდებული (წარსული 1899 წლის 11 ივლისიდგან) წიგნთ - საცავ-სამკითხველოს შეუწყვეტლივ მოსდიოდა შეძლებისდაგვარად შემოწირულება ყველა გულშემატკივარ კაცთაგან წიგნებით, თუ ფულათ წიგნებით დახმარება ამოუჩინეს ჩვენს სამკითხველოს: მარიამ ალექსანდრეს ასულმა ხაბურზანიასამ, რაჟდენ უ. დათეშიძემ, ალექსანდრე ანდრიას ძე ყდანოვიჩმა, ვარლამ ხარაბაძემ, ერმილე ჩხატარაიშვილმა. ი. ლეჟავამ, „ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, იასონ მოს. გორგოძემ, ვარლამ ბურჯანაძემ და სხვებმა, რომელთაც მადლობა უკვე გამოვუცხადეთ გაზეთის საშუალებით. სულ ამ ჟამად წიგნთ-საცავს შეადგენს 260 ცალი რუსულ ქართული წიგნი, ზემო აღნიშნულ კაცთაგან შემოწირული და ღირებული 97 მან. და 80 კაპეიკად.

საანგარიშო წლის განმავლობაში ფულათ სამკითხველოს ჰქონდა შემოსავალი: ხელის მოწერის გამართვით სხვა და-სხვა დროს ბაღდათში და ქუთაისში მოგროვილი 78 მან. და 35 კ., საწევრო გადასახადი 112 მან. და 60 კ. სულ 190 მან. და 95 კ.

ამ ფულიდგან დაიხარჯა: სახლის ქირა ერთი წლისა და ორის თვისა 64 მ. 40 კ., 180 წიგნების ყდაში ჩასმაზედ 12 მ. 40 კ., ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე 38 მ. 89 კ., სამკითხველოს ბეჭედში 2 მ. 50 კ., დგამები 34 მ. 80 კ., ლამპები 4 მ. 50 კ., წვრილმანი ხარჯი 14 მ. 15 კ. სულ 171 მ. და 64 კ. დარჩა ნაღდად 19 მან. და 31 კ.

საანგარიშო წლის განმავლობაში ყოველ-დღიურ მკითხველთა რიცხვი არ აღემატებოდა 10 კაცს. წიგნთ-საცავიდგან წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გაუტანია სახლში საკითხავად სულ 52 კაცს.

ამ ჟამად სამკითხველოს მოსდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „Нива“, „კვალი“, კრებული, „ჯეჯილი“ „Нов. Обозрѣніе“, Кавказъ“. „Биржевыя Вѣдомости“ და „ივერია“.

ამასთან არ შემიძლიან უგულითადესი მადლობა არ გამოვუცხადო: ადგილობრივს მეაფთიაქე ევ'ევი ს. გვანცაძეს, რომელიც მთელის ზაფხულის განმავლობაში მამობრივად ოვალ-ყურს ადევნებდა სამკითხველოსა და მისს სისუფთავეზედ ჰზრუნავდა, ყარამან დათეშიძეს, რომელიც ყოველ დღე უსასყიდლოდ უგზავნიდა და უგზავნის ამ ჟამად ქუთაისიდგან წიგნთ-საცავს ჟურნალ-გაზეთებს თავისის საკუთარ მედიდიენეს ხელითა და ერმილე დვალიშვილს, რომელიც აქამომდე უსასყიდლოდ ასრულებდა წიგნთ-საცავის გამგის მძიმე მოვალეობას.

წიგნთ-საცავ სამკითხველოს ინახავს საზოგადოება, რომელიც შესდგება 1 საპატიო და 26 დამაარსებელ წევრისაგან. საპატიო წევრი: ტერენტი ს. გველესიანი. დამაარსებელნი წევრნი: ორჟელი ბრონისლავ ფელიქსის ძე, ჯაფარიძე ივანე დავითის ძე, კიზირია პეტრე ბესარიონის ძე, ახვლედიანი გიორგი ალექსანდრეს ძე, მესხი პროკოფიალ — ძე, შარაშიძე ყარამან დომ., გვანცაძე ევსევი სოფრომის ძე, ჟორდანია კონსტანტინე პეტრ., სალაძე პლატონ ნიკ., კაკუშაძე კონსტ. მათეს ძე, ფურცელაძე ნიკოლ. სამსონის ძე, ანანოვი მიხრან ალექ., ბურჯანაძე ვარლამ ამირ — ძე, ბურჯანაძე ამბერკი ბეს. — ძე, მემანიშვილი ივანე გ — ძე, გოგოძე ილია მალხაზის ძე, ჯაფარიძე სიხიტო სტ — ძე, საყვარელიძე ვარდენ დიმ — ძე, მეფარიძე ილია, როფაქიძე ნესტორ, საკანდელიძე გალაქტიონ, ბუცხრიკიძე ანტონ, გორგოძე იასონ მ — ძე, ვარძელოვი გაბრიელ, ხიტაროვი სტეფანე და დვალიშვილი ერმილე. საწევრო გადასახადი წელიწადში — 3 მანეთია.

სამკითხველოს მმართველი მასწ. ვარლაამ ა. ბურჯანაძე

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებ ყველას, რომელთაც ჩემდამორწმუნებულს სოფელ კალაგონის სამრევლო სკოლას ფულად რვა მანეთი და ერთი აბაზი შემოსწირეს.

სია შემომწირველთა: ლუკა მგალობლიშვილმა, იოსებ იესეს ძე კიწმარაშვილმა, ნ სტორ ნიკოლოზის ძე მღრჩაძემ და ვასილ მებუკემ—თითო მანეთი; ანდრო მგალობლიშვილმა, ბიქტორ მგელაძემ, გერასიმე ძოწონავამ, ილიკო მირიჯანოვმა, გიორგი ჩხაიძემ, გიგო დავითისძე თარგამაძემ და გიორგი ქურთოშვილმა ათ-ათი შაური; გრიგოლ ბერიძემ-ექვსი შაური; გრიგოლ დგებუაძემა და ნიკო ინჯიამ-თითო აბაზი. ყველა ამათ განმეორებით მადლობასა ვსწირავ დ ვუსურვებ კალაგონის სამრევლო სკოლას კიდევ აღმოსჩენოდეს თანამგრძნობელნი და შემწეობა აღმოეჩინოთ დღეს ნივთიერად ფრიად გაჭირვებული სკოლისთვის.

ოზ მაზრის სოფ. კალაგონის სამრევლო სკოლის მასწავლებელი სვიმონ რამიშვილი.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

7 ოქტომბერი

ივანე და ლევან ბაზარაშვილებისა, რომელთაც შეურაცხების მიყენება ჰბრალდებათ.

ანტონ ქიტუაშვილისა—კაცის დაჩეხა ჰბრალდება.

ერმილე კოჩიაშვილისა—ნამალევად არაყის ხდის ბრალი ედება.

10 ოქტომბერი

ივანე აბაშიძისა და სარდალ ჯამბოლაშვილისა, რომელთაც მკვლელობის ჩადენის განზრახვა ჰბრალდებათ.

იაკობ ნათაძისა — ქურდობის ჩადენა ჰბრალდება.

ივანე კოხტაშვილისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა ჰბრალდება.

სიმონ ბეგოიძისა — მკვლელობის განზრახვის ჩადენა ჰბრალდება.

14 ოქტომბერი.

მიხეილ ბერიკაციშვილისა—კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძისა — მკვლელობის განზრახვის ჩადენა, ქურდობა და სხვისი ნივთების მითვისება ჰბრალდება.

სერაპიონ და კესარია ბიწაძეებისა და ნატალია ჭყონიასი, რომელთაც სასჯელ. დებ. მე-1690 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ჩადენა ჰბრალდებათ.


# ანცხადებანი

ახალი სასადილო

„ქუთაისი“

გაიხსნა ტფილისში სოლომონოვის ქუჩაზედ, (უწინდელი ტალახის ქუჩა), № 4 ცურინოვის პასსაჟის გვერდზედ.

მზადდება სუფთად ყოველგვარი ევროპიული და იმერული საჭმელები (ხარჩო, ლობიო, საცივი, სულგუნი და სხვა) და იყიდება იაფად. ვინც თვიურად დაიკვეთს, იმას ნაკლებ ფასად დაეთმობა.

სასტუმროს პატრონი ქ. დანელია

(3—199—2)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—23)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე